შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება № 1000395 5 24 00000003

ქ. თბილისი 31/01/2024 წელი

შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" ახალ პროექტთან დაკავშირებით რიგი საკითხების განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის N 128 განკარგულების ფარგლებში რეორგანიზაციის გამოცხადების ბრძანების ცვლილების შესახებ

შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" წესდების 10.3 პუნქტის, ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის 2024 წლის 23 იანვრის N 1000395 4 24 00075802 და 2024 წლის 31 იანვრის N 1000395 8 24 00113542 შეტყობინებების, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" ახალ პროექტთან დაკავშირებით რიგი საკითხების განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" N 128 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ცვლილება შევიდეს შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" 2024 წლის 23 იანვრის N 1000395 4 24 00000002 ბრძანების მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. რეორგანიზაციის გამოცხადებამდე თანამშრომლებთან მხარეთა შეთანხმებით განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები, ხოლო აღნიშნულ პირობებზე თანამშრომლების მხრიდან პოზიციის წარმოდგენის ბოლო ვადად განსაზღვროთ 5 მარტი:
"1. თუ დასაქმებულის სურვილის შესაბამისად, წყდება შრომითი ხელშეკრულება კლინიკასთან და იგი დასაქმებულია მხოლოდ შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში“ (ს/კ 205165453) თანამშრომელზე გაიცემა ერთჯერადად შრომითი ანაზღაურების (ხელფასის ბოლო 3 თვის საშუალო) 12 თვის კომპენსაცია;
2. თუ დასაქმებულის სურვილის შესაბამისად, წყდება შრომითი ხელშეკრულება კლინიკასთან და პარალელურად დასაქმებული არის სხვა ორგანიზაციაშიც, გარდა შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკისა“ (ს/კ 205165453) თანამშრომელს ეძლევა ერთჯერადად შრომითი ანაზღაურების (ხელფასის ბოლო 3 თვის საშუალო) 4 თვის კომპენსაცია;
3. თუ თანამშრომელი არ ისარგებლებს შეთავაზების 1-ელი ან მე-2 პუნქტით, მას სურვილის შემთხვევაში მიეცემა კლინიკაში არსებული პოზიციის ტოლფასი სამსახურის ერთჯერადი შეთავაზება. ხოლო თანხმობის შემთხვევაში, შეთავაზებულ პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში დამატებით მიეცემა ერთჯერადად შრომითი ანაზღაურების (ხელფასის ბოლო 3 თვის საშუალო) 4 თვის კომპენსაცია;

4. თუ თანამშრომელი უარს განაცხადებს მიმდინარე პოზიციის დატოვებაზე ან ვერ მოხერხდება თანამშრომლისთვის კლინიკის მხრიდან ალტერნატიული სამსახურის ერთჯერადი შემოთავაზება, 3 (სამი) წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება (ხელფასის ბოლო 3 თვის საშუალო) სხვა ორგანიზაციაში დასაქმებამდე."
პირველი და მესამე პუნქტით გათვალისწინებულ შეთავაზებაზე თანამშრომლის თანხმობის შემთხვევაში თანამშრომელმა, არაუგვიანეს 2024 წლის 5 მარტისა უნდა წარმოადგინოს სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ შემოსავლის დადასტურების შესახებ ცნობა, 2023 წლის 01 სექტემბრიდან ცნობის გაცემის თარიღამდე.
თუ თანამშრომლის მიერ არჩეული იქნება მე-4 შემოთავაზება, თანამშრომელმა წერილობითი ფორმით უნდა წარმოადგინოს შევსებული დანართი N1, რომლის თანახმადაც, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკას“ (ს/კ 205165453) მიეცემა უფლება 2027 წლის 01 ივნისამდე გამოითხოვოს სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ ინფორმაცია თანამშრომლის შემოსავლის შესახებ.
შენიშვნა : კლინიკის არასამედიცინო პერსონალს (ადმინისტრაცია) შეთავაზებებიდან ეხება მხოლოდ 2.1. და 2.2. პუნქტი. ხოლო, სამედიცინო პერსონალს უფლება აქვს ისარგებლოს ოთხიდან ნებისმიერი ერთი შეთავაზებით."

2. ცვლილება შევიდეს შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" 2024 წლის 23 იანვრის N 1000395 4 24 00000002 ბრძანების მე-7 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

" 7. რეორგანიზაციის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 05 თებერვლიდან 2024 წლის 15 მარტის ჩათვლით პერიოდი;"

3. ბრძანების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი;

4. დაევალოს კანცელარიას უზრუნველყოს ბრძანების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებით თანამშრომელთათვის ჩაბარება.

5. დაევალოს დაცვის სამსახურს უზრუნველყოს ბრძანების კლინიკის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე მატერიალური სახით გამოქვეყნება.

6. დაევალოს კლინიკის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უზრუნველყოს ბრძანების მის დაქვემდებარებაში მყოფ დასაქმებულთათვის გაცნობა.

7. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან;

8. ბრძანებით გათვალისწინებულ პროცესებზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 64), მისი ოფიციალურად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ლადო შელია